საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4516
13/06/2023

4516-21-2-202306131546

შპს „გეო ენერჯის“
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,
მ. ალექსიძის ქ. N3, ბლოკი ბ, ბ. 48
ელ.ფოსტა: b.kharati@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, 2023 წლის 2 ივნისს წარმოდგენილი N4981 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2023 წლის 25 მაისის N21/3939 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- გზშ-ის ანგარიშში დაკორექტირებულია საწარმოს წლიური წარმადობა, რომელიც შეადგენს 8497 ტონას, თუმცა არატექნიკური რეზიუმე და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი წარმოდგენილია კვლავ საწარმოს 8400 ტ/წელ წარმადობის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში, ნარჩენების სახეობები და მიახლოებითი რაოდენობების ცხრილში (12.4.4.1.) მოცემული ერთ-ერთი ნარჩენის - 10 08 15* (გამონაბოლქვი აირების მტვერი, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) წლების მიხედვით მიახლოებითი რაოდენობის გრაფებში 0 ტონიდან შეიცვალა 2800 ტონით, თუმცა ამჯერად 10 08 16 (გამონაბოლქვი აირების მტვერი, რომელსაც არ ვხვდებით 10 08 15 პუნქტში) კოდით განსაზღვრული ნარჩენების წლების მიხედვით მიახლოებითი რაოდენობის ყველა გრაფაშია მითითებული 0 ტონა. ვინაიდან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია დაახლოებით 2800 ტ/წელ მტვერდამჭერი ფილტრებიდან მიღებული მტვერის (**კოდებით: 10 08 15* ან 10 08 16**) წარმოქმნა, ნარჩენების სახეობები და მიახლოებითი რაოდენობების ცხრილი (12.4.4.1.) საჭიროებს კორექტირებას 10 08 15* და 10 08 16 კოდებით წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობასთან დაკავშირებით;

- სააგენტოს N21/3939 წერილში მოცემულ საკითხზე - საწარმოს ტერიტორიაზე უკვე ჩატარებული და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის, ასევე გზშ-ის ანგარიშის საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რეალობის გათვალისწინებით წარმოდგენასთან დაკავშირებით დანართში N9 (თავი 12.9 - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 მაისის N21/3939 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ) მითითებულია, რომ სააგენტოს შენიშვნა გათვალისწინებულია და „გზშ-ის შესაბამის პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ საწარმოში ამ ეტაპზე **მიმდინარეობს** ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობის და სხვა ინფრასტრუქტურის სამონტაჟო სამუშაოები.“ **გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე საპროექტო ტერიტორიაზე დანადგარ-მოწყობილობებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობითი სამუშაოების შესრულება დაუშვებელია;**
- წიდის ორმოებთან დაკავშირებით, დანართში N9 (თავი 12.9 - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 მაისის N21/3939 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ) მითითებულია, რომ „გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წიდის ჩამოსხმა მოხდება კონტეინერებში და ბუნებრივი გზით გაგრილების შემდეგ, ყოველ მეორე დღეს შემდგომი გამოყენების მიზნით, გატანილი იქნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ.“ თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (გზშ-ის ანგარიში, არატექნიკური რეზიუმე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ანგარიში) კვლავ ვხვდებით წიდის ორმოს შესახებ ინფორმაციას (მაგ. გზშ-ის ანგარიშის თავი 3; ასევე ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში (გაფქრვევის წყარო N8 - წიდის ორმო) და სხვ), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთზე სამრეწველო ზონის ცვლილების საჭიროებასთან დაკავშირებით, დოკუმენტაციაში მოცემული განმარტება - „საწარმოს მოსაწყობად გათვალისწინებულ ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე პროცედურა დაწყებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და შესაბამისი **გადაწყვტილება ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში**“ გაუგებარია. გარდა ამისა, თუ აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს სამრეწველო ზონის ცვლილების თაობაზე დოკუმენტაციის სააგენტოში შემდგომ წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ როგორც N21/3939 წერილით გეცნობათ, ვინაიდან, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.13.033.139) ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას, კერძოდ სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ით ცვლილების შესახებ, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, სამრეწველო ზონის ცვლილებამდე;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების შესახებ, თუმცა კვლავ არ არის წარმოდგენილი მოსახლეობის პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის

გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო